„...მშეიდლიბით!.. უქანასენებად ამასკდა მაშიკოს გულილი, შემოტრიალდა და გზივით ტესტები გააცილა. ტესტები ფოთლებით ნიმდევნები მოშორდა... აღარ შრალებდა.

დადასნს იყდა და სტრიოდა. როცა ტირიალით გშა-ლი იყერა, მოთმინდა თვალები და ამოაკენესა:

— ჩემთ სევარელ ტესტები, შენ გახარე ჩემი პარ-ველი კატნა. შენშევე უმარხავ ჩემს ნირელ სიევარელს.“

—

ერთხელ გადებ სახა მაშიკოს ნიკო. ეს იუდ რამ წლის შემდეგ. ქუთაისის ბაზარში, საცა ჩარაზმულია ხლოშე გალათები და გოდრები ხილითა და უგელით. მაშიკო ამათ მორის იუდ. უგელით საგვა პატარა გალათს თავს დასდგრობდა და შემტაცს უგალათვალებდა.

ნიკოს, ცოლიან სელგაურილში წინ გაუარ, მაგრამ

შერ იცნო. მაშეკოშ გედარ მთათშისა და გამოუჩმაურა. საკვირველიაც არ იქთ. უფლება მაშეკოს ახრდილიც არ დარჩენილიყო. ეს იქთ ჩანჩხია, ანუ უპეტ რომ ვსოქვაო, სამართლის ამოდულული მიცვალებულია. სად გაჯერა მისი ფაშიადით წიოველი დოლები, ტუჩბია, ან გულულა თუშიბი. ეპრე რაგად რამ გაუსწორა, რამ გაუთხედა?!... მეტრი ჩავარდნილი, ბეჭებში მოხრილი. მხოლოდ თვალებში და შერჩენდა ცოტადები ცეცხლი, მაგრამ ეს ცეცხლი იყო მხოლოდ ქედა, ნიკოს დასხვეზე. წავა და ისიც ჩაჯერება.

ნიკოშ გაუდიმა, მთავაოთს: როგორ არის? ხომ არ გათხოვილი? მაშეკ მაშეკო აღარაფერი უსასება, მხოლოდ თვალები ძარის დაუშენა. ....არა, იგი არ გა- თხოვილა! ნიკოშ თავისი ცოდნი გააცნო. მაშეკ და- სარა და ქალატტის მოწევებით მუხლს ქვემოდ გააზე აგრძა. წიგვილის ნიკოშ ქალატტის ფული ჩაუდა ჩელში მაშეკოს და უთხრა—რამე მის სახსნელეროდ ეყალნა.

მაშეკო თარიე ხელები სტაცია ნიკოს ნიკოს ტუჩებში და დანახის ჰქონილი. ნიკოშ სისელე იგრძნოს ხელშე და უბრად გამოსტაცა.

მაშეკო თვალცურტმლიანი მასხერგობდა მიმავალ ნი- კოს და არ ციდო, რა ქნის—უცინა თუ ეტარნა.... და- ტაც ხელი თავის ქალატტის, ამთავდ იღლასში და გაე- დევნა. იგი მადილდა შეკ ქუჩაში და როგორც დამიღრთ- ხალი შირუტევი შესცემრდა ნიკოს.

„უაუდ მთახედას...“ ერთხელ კადე შეხედას მაშეკოს... პერ ვადაც ქალებს შეხედა... გაუცინა, მიუ- სალმა, ხელებზე აჭრა. გვირდნენ. სიცილი და დამა- რავა ისმას, მაგრამ სიტყვები. პერ აჩექს. ნიკო დამა- რავალის—ქალები იცნიან. პერ შემოტრადა ნიკო და მაშეკოს შეხედა. გაუდიმა. მაშეკოს უფრო გაუძრებილია სახე და უნიბურად მასტენ გაქანა. მაგრამ ნიკო უბრად შემოტრადა და ზურგი შეცერა. წავიდნენ. პერ მა- დილან. მიაცნიან. ერთ დღე დამაზე სახლში შევიდნენ. მაშეკ შედგა და სახლის ქარებს მაჩერდა. მაგრამ სა- საშემას? აქებ ეს არას ნიკოს სახლი და დღეს სულაც კომიტეტებს ქუჩაში.

მაშეკომ ხელში ქალატტი იგრძნო. მთაგონდა ნიკოს სიტყვები: „სახსნელერო რამე იყოდე“. მაგრამ რა? რა იყოდოს? მაშეკ უქეთეს სახსნელერო განს რამე იქნება მისთვის? განს ამ უფლის გამიუტებს და გაშარის ჩაუგდებს ხელში? ეს ხომ ნიკოს კაბებში იყო. იგი სედით შემხო ამს. მან თათოს ამთავდ და მაშეკოს გადასცა. არა, ეს საუკეთესო სახსნელერო იყო მაშეკოსთვის...

— „ამას შევინხავ ჩემს გულთან... საკვდილამდე... ბაბასც გი არ ვეტევი, თვარა წმართმებს და დაშიხა- ჭაჭა“.

მაშეკომ ქალატტი გულის უებში ჩაიდო.

ერთა წლის შემდეგ ნიკო თავის ცოდით ბიძის ეს- ტუცრა. რადესაც მან სიმონია შავებში დასხას და ჰეით- ხა: „რა ამბავიათ“, მთხუცს მიმქრადო თვალები ცრემ- დოთ აუქს და ჩოროხერთ უძინებს:

— მაშეკ მომიგდა, ბატონი...

ვალ. შალიკაშვილი.

## 300 არავი შავილი

ისტორიული ამბავი

IV

გრაფ ვორონცოვს თან ახლდა ბრწყინვალე ახალგაზრდობა, რომელიც სახელისა და დიდების მო- სახევად დაიძრა პეტერბურგიდან შამილთან საბრ- ძოლველად. უფლებულებაში აღზრდილი ლაშქრობას ისე უცემროდნენ, როგორც სასიამოვნო გასეირნე- ბას და სრულიადაც არ მოელოდნენ, რომ ვაკირ- ვებას იხილავდნენ კავკასიის მთებში. ცოდნით მარ- ტო ის ცოდნენ ამ ქვეყნისა—რომ ლერმინტოვმა და პუშკინმა შეამცეს კავკასიის. მთანი მშვენიერის ლექსებით.

ი სწორედ ამ ბრწყინვალე ახალგაზრდობამ აღარ მოუკადა საერთო იერიშის ნიშანს და ბატონიშვილ ალექსანდრე გესანელის შეთაურობით მოქალა- შამილის ბანაკისენ, შეიქრა ცხენდაცხენ ერთ ხერ- გზე და მისვლის უმაღ აიღო იგი.

მამაცმა და ვაკიაუტრმა შეტევაშ და მისევაშ მტერზე დიდათ გამხნევა რუსის მხედრობა. განე- რალი ბელიასკიც დაიძრა ლიტეის ბატალიონით და ქართველთა მილიციონერებით ბრძოლის ველისკენ. ლიმილითა და ოხუნჯობრთ შევიდა რუსის მხედრო- ბა დაბურულსა, ხშირსა და ჩამობნელებულ ტყეში. გამხიარულებული მხედრობა ჩინჩევარსავით ამტვრევდა მტრის ხერგებს და დაუბრეკოლებლივ წინ მიიწყევდა.

კარგ გუნებაზე მოსულ რუსის ჯარის წინ გა- დიშალა მშვენიერი არგუნის ხეობა, უცნაურად გა- ნათებული შებინდებისა. ნათელი დარგობრან მო- დიოდა. სატახტო და საიმამო ბინაც არ დაინდო შამილმა და ცეცხლი წაუკიდა დარგოს.

რუსის მხედრობას მაინცა და მაინც იატად არ დასჯლომია ხერგების ზედიზედ აწება და გამარჯ- ვებით წინ სვლა. მტერმა სასიკვდილოდ დაუკრა გენერალი ფოკი. გრაფ ვორონცოვმა ახალგაზრდა ალიუტანტს დონდუკოვ-კორსაკოვს უქში მოარტ- ყეს ტყვია \*).

დარგოს ასაღებად გრაფშა ვორონცოვმა გაგ- ზაგნა გენერალი ბულიასკი თრის ბატალიონით და თრის ქართველთა დრუებინით. ცეცხლ-მოკიდებული დარგო რუსებმა და ქართველებმა აღვილად აიღეს. დანარჩენი რუსის მხედრობა დარგოს აეიდა იმავე სალამოს და დაბინავდა მის გრემო.

ამ გვარად გრაფმა ვორონცოვმა დაიპყრო შა- მილის სატახტო ბინა დარგო და მაშასადამე სავსე- ბით შეასრულა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ბრძანება. შამილის სადგომი სახლი, მეჩეთი, თოფ-

\*! ეს ის დონდუკოვ-კორსაკოვია, რომელიც დიდი მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძის შემდეგ მთავარ-მართებლად იყო საქართველოში.

ხანა და ზოგი სხვა შენობა ცეცხლის აღმა შთანთქა. ეორონცულის ისლა დარჩენოდა, რომ სამშენებლოში დაბრუნებულიყო საცერომნიო მარშით.

მაგრამ ბედმა სულ სხვა ინება. რუსებმა რომ თვისი საომარი გეგმა შესარტულეს, ჯერი ახლა შამილის გეგმის ასრულებაზე მიღდა.

წინასწარ დამარცხების შემდეგ შამილს თვი ისე ეჭირა, თითქოს გამარჯვებული იგია და არა გრაფი ვორონცოვი. სულის დაცემისა ნიშანიც არ ემჩნეოდა მის არწივს. ომი ახლა იწყობაო, ეუბნებოდა შამილი თავისიანებს და მახლობელთ, ვნახოთ რუსები როგორ გაიტანენ თავინით ძვლებს ისკერის ტყეებიდან. თითქოს არაფერი მომხდარაო, თითქოს დარგო ძვლებურად ხელუხლებელია, ისე არხეინად ეჭირა თავი შამილსა. რუსების თვალ წინ შამილი სწორნიდა რუსთა გამოქცეულ სალდათებისაგან შემდგარ ბატალიონს და საცერემონიო მარშით აატარ-აატარებდა ხოლმე ამ ბატალიონს.

დარგო ხომ რუსის მხედრობამ დაიჭირა და დაბანაკდა, მაგრამ მის მიღმოებში ფაცი-ფუცი არა წინარღებოდა. ეს უცნაური ფაცი-ფუცი კარგი არა მოსაწავებდა ჩვენთვისაო, ბრძანებს ისტორიების. შამილს ახალ-ახალი რაზმები მოსდიოდა საჩანწლან და რგოლივით გარს ევლებოდნენ ხაფანგში მომწყვდეულ რუსის მხედრობას.

დიდის ხნით გაჩერება გადამწვარსა და გადაბულ დარგოში შეუძლებელი იყო, რადგან სურ-სათი სრულებით გამოელიათ რუსებს, ადგილობრივ კიდევ არაფრის მოხერხება არ შეიძლებოდა. უკან დაბრუნება ანდით, იმ ტყის გზით, საღაც ეჭვს ივლისს ფიცხელი ბრძოლა გამოიარეს რუსებმა, უხერხული იყო, რადგან ამ გზით სიარული დამარცხებულის გაქცევას ემგანებოდა. მეტი ჯანი არ იყო, ისევ წინ უნდა წასულიყვნენ და აერჩიათ ს. გერზელის გზა, რომლითაც დაბრუნდა 1842 წელს ძალზე დამარცხებული გენერალი გრაბე.

გრაფ. ეორონცული გერზელის გზა აირჩია და გადასწყვირა ამ გზით შინ დაბრუნება, მაგრამ ვიღრე ჯარი ჟიყრებოდა და შინისაკენ პირს იბრუნებდა, ხაჭირო იყო დარგოში დარჩენა რამდენიმე დღით, სანამ ანდიდან სურსათს მოშველებდნენ.

10 ივლისს 1845 წელს გამოჩნდა ანდიის მხრიდან სასურველი ტრანსპორტი სურსათით. ტრანსპორტს თან ახლდა ძლიერი რაზმი თ. ვ. ბებუთა-შვილისა. დიდი გამოცანა არ იყო საჭირო იმისი, რომ შამილი უვნებლად არ გაუშვებდა ბებუთა-შვილის რაზმს, ჩაუსაფრდებოდა დარგოს დაბურულ ტყეში და ეცდებოდა სურსათის წართმევას, რომ რუსი ებიშიშილით გაეწყვიტა. ამის გამო გრაფმა ვორონცული წინ მიაგება მთელის თვისის მხედრობის ნახევარი გენერალ კლიუგენაუს უფროსობით. კლიუგენაუს რაზმის ავანგარდს წინ უძლოდა მამაცი და

მთიულებთან ომში გამოცდილი და მეტის-მეტად მხნე გენერალი პასეჟი.

ისტორიების ესაძე ასე ავერწერს სიტყვა-სიტყვით ამ უბედულს ლაშქრობას გენერალ კლიუგენაუს რაზმისას. რაზმი დაიძრა დილა აღრიან და შეცყვი თუ არა თავი დაბურულ ტყეში, კანტა-კუნტად გაისმა თოფის სროლის ხსა. მოწინავე ბატალიონი მიღიოდა წინ, მანც ცა მანც ციდ დაბრკოლებას არავინ უწენდა. პარიქ თუ შეეხებოდა ხოლმე მტრის პატარ-პატარია ჯვუფებს, თოფის სროლით იგრიებდა და გზას ისე იკვალავდა. ბატალიონი მიადგა ვიწრო, პატარია ბილიქს, რომელიც ერთებდა ორ ციდ ხევს. პასეჟის ეგონა, ალბად ბილიკი ჩახერგილი იქნებაო, მაგრამ ჩახერგისა არაფერი ეტყობოდა იქაურობას.

გენერალი პასეჟი ხმალ-ამოლებული მიუძლდა წინ თავის ბატალიონს და „ურას“ ძახილით გადიჭრა ხევის მეორე ნაპირზე. საოცარი ის იყო, რომ მთიულებმა მარტო არგერ-სამჯერ თუ ესროლეს თოფი პასეჟის რაზმს, იმის მაგიერ რომ ესარგებლნათ ვიწრო ბილიკით და სეტყვასავით დაეყარათ ტყვია-წამალი.

ომში გამოცდილ პასეჟს გულმა კენესა დაუწყო. ხის ტოტების ლაშა-ლუში ისმის, თოფის სროლა კი არ ისმისო. მთიულები ციდის სსტატობით სარგებლობენ ხოლმე მუდამ უაშმ მოხერხებულის ადგილ-მდებარეობით, თავს ესხმიან რუსებს, — და ახლა რა დაემართოთ, ჰეფტებდა თავის კუნებაში პასეჟი. განა ამისთანა მოხერხებულ მდებარეობას თავზე დასახმელად, როგორიცაც ეს ვიწრო გადასავალი, ხიდსავით გადებული ორ ხევს შეა, ბევრს იპოვნიან შამილის მხედარ-მეომარნი?

ყველაფერი მალე გამოირკა. შამილმა განგებ მისცა პასეჟს საშუალება უბრძოლველად გადასულიყო ხევის მეორე ნაპირზე. რაკი პასეჟი გადატყუა მეორე ნაპირას, შამილი მთელის თავისის ძალ-ლონით თავს დაეცა გენერალ ვიქტოროვის უკან რაზმს. როდესაც გენერალ ვიგტოროვის არიტრარდი გაება ჭაბიან და მოლიბულ ხევის ფერდობებში და როდესაც საცალოებ იყიდებული ჩალვადრის ცხენები წეროებსავით გაიკიმნენ, სწორედ მაშინ მიწის მგლებასავით გამოხტნენ ჩასფრებული მთიულნი და მიესინენ ყოველის მხრიდან. ხმლითა და ხაჯლით დაუწყეს დუმასავით კეპა მოულოდნელობისაგან ელდა ნაკავ რუსებს. ენით გამოიუთმებილი და კალმით აუწერელი ხელჩართული ბრძოლა გაიმართო, ამბობს ისტორიების. გაჭრა დანდება და შეწყვება. გაბოროტებულმა და გააფირებულმა მთიულმა ზედ დაანთხია თვისი ნალველი გონება-დაბნეულ რუსის მხედრობას და თითქმის საფსებით გასწყვიტა ვიკტოროვის არიერგარდი. მოჭკლეს გენერალი ვიკტოროვი, ბოლეოვინიკი კრივოშენი. ცოტხალნი ვერც დანარჩენი აფიცერები გა-

დარჩნენ. სურსათის მისაღებად გამზადებული ცხენები საცალოებით შამილმა წაასხა.

თვალით მნახველი ამ საშინელის ხოცვა-ჟლეტისა მიღილიონერი, თუში ლვითისავარ ცისკარაშვილი, პაპა ლევან ცისკარაშვილისა, ცოტა სხვანაირად უაშბობდა ოურმე რუსების გაულეტის ამბავს მეზობლებს, თავისიანებს, შვილებსა და შვილი-შვილებს. სამწუხაროდ მხოლოდ ის დაგვრჩა, რომ დანამდებობით ვერ გადმოგვცეს, გენერალ ვიკტოროვს შეეხება ცისკარაშვილის მოთხოვა, თუ პას-სექს.

აი რას მოუთხოვდა მოხუცი, ათას ჭირს გამოვლილი მიღილიონერი ლვითისავარი შთამომავლობას: რუსის ჯარი, ხიშტებ-გაშვერილი და „ურას“ ძაბილით შეეჭრა ერთს ფიჩითა, ხის ტოტებით და კუნძებით ჩახერგილ ადგილშით. საიდგანლაც ხერგიანს ადგილს ცეცხლი გაუჩნდა, საშინლად იფეთქარალამაც და ალი ავარდა. კამლასა და ჯანყში გაეხვია ჯარი, გაშტერდა, გაშეუდა და ადგილიდან ველარ დაიძრა, ვერც წინ მიდიოდა და ვეღარც უკან დაიხია. გაშვერილი ხიშტები ხელში მაგრად ეყირათ და ძირს დალებას ველარ ახერხებდნენო. ეტყობა შამილს ფიჩისა და კუნძების ქვეშ თოფის წამალი ბლობად დაეწყო და სწორედ ამ წამალმა იფეთქა, ცხელი ტყვია რომ მოხვდაო.

გაშეშებული, ხიშტებ წინ გაწვდილი ჯარი კარგა ხანს იყო გაჩერებული ერთ ალაგას და ბოლოს მორთო გულშეზარავთ საქონლისებური ბლავილიო. სწორედ ამ დროს მისცვივდნენ ლეკები და დაუწყეს ჩეხია ხმლითა და ხაჯლებითაო.

გენერალი რომ დავინახე სხვებსავით გაშტერებული, მივვარდი და ხმა მაღლა მოვახსენე—რას გაჩერებულხართ. გაეცალეთ ამ ჯოჯოხეთსაო. რადგან გენერალი არ იძროდა, გსტაცი ხელი და წამოვიყანე ძალით, მაგრამ უკან გამობრუნებულს ტყვია მოხვდა და ხელში მომიკლესო.

სწორედ იმ დროს, როდესაც ჩახერგილმა ადგილმში იფეთქა და გაშტერებული ჯარი ბლაოდა, მახლობელ მთის სერჩე გამოჩნდა თვით შამილი თეთრ უმტცერო ღოლბანდით მობურვილი. გძელ ლეგაქს ღოლბანდისას ნაუკი არხევდა და უწნაურ სურათს იძლევდა ახოვან ტანის პატრონს შამილსა. ახალგაზდა ქალთა გუნდი გარს ეხვია იმამს და სამურ სიჩერებს ამბობდნენო. ქალთა სიმღერა ვაჟაცობას უორკეცებდა მთიულებს, ჰმატებდა გულადობას და ისეთის თავამოდებით იბრძოდნენ, რომ მე ბევრის მნახველს ამის მზავისი არა მინახავს რაო (\*).

(\*\*) ეს ამბავი გადმოგვცა ივ. ბუქურაულმა.—თუშეთი სავარა ასეთის საგმირო ამბებით. ურიგობა არ იზამებ ჩემი ნაწავლი მთიული, რომ ჩასწერდნენ ამგვარ ამბებს და გამდიდრებდნენ მოთხოვდით ქართულ ლიტერატურას.

დვოთისავარ ცისკარაშვილის მოთხოვა მეტად საყურადღებო და თან საოცარია. უბრალო მომაკვდავი, უბრალო კაცის შთამომავალი რომ ყოფილიყ შამილი, იმისთანა სარაკო სამხედრო ხერხს ვერ მიართავდა, როგორსაც მიმართა შამილმა ჯარის კაცია გასამნევებლად. ამ გვარი ხერხი და ოინი ხევდრია დიდ ბუნებოვან სარდლისა, დიდის კუუ-გონების ადამიანისა და ადმინისტრატორისა. უბრალო მთიელი, უბრალო ჯარის-კაცი, თვით სამაგალითო და შეუდარებელი მერმარიც რომ იყვეს, ვერ ჩაიდენს იმას. რაც მოიქმედა შამილმა 10 ივლის 1845 წელს დარგოს ბრძოლაში. აშკარად სხანს, რომ შამილის სისხლი ნარევია. მის ძარღვებში აღბად სქედიდა სისხლი ისეთი მამისა, ვისი წინაპარი, ან თვითონ მემა ჩემულნი იყვნენ ჭვეყნის ბატონობას და გამგეობას.

#### ა. ფრონტი

(შემდეგი იქნება)

## თ ე პ ტ რ ი.

ეველამ უწევის რანიარად სწერდა ჩეხეფი. მისი დამასასიათებელი თვისება მინიატურა იყო, მოკლეედ, სხარტულად. „გრი დე მთავარის შემდეგ შეუძლებელია ისე წერი, როგორც ჟევლები სწერდნეთ, „სწერდა ის ერთხელ და მართლაც, როცა ჩეხეფის მოთხოვობას კითხულობ, ვერ წარმოგიდებია, შეიძლება მისი გადიდება, გვიანურება. ამბობენ, ჩეხთვი ერთა მოთხოვობის წერას შეადარ და და ანდომებდა. შეიძლება, ის მოთხოვობაც საიდანაც არის გადმიტეუბული „შეგი ბერი“ სწორედ ერთ დღეში არის დაწერილი, ან აანათბის დროს აუზი. ტრლისტოს რომ სკუთარა აედო ლეგენდა შე ბერზედ და ისე დაწერა დრამა, შესაძლებელია საინტერესო რამ ერთგანის მარაშ შან აიღო იგი ისე, როგორც ეს ჩეხოვს აქვს. ჩეხთვის კი ერთი პატრა მოთხოვობა აქვს, ვინ იცის რასთვის და რა აზრით დაწერილი. ეოველ შემთხვევაში ამ მოთხოვობიდან რამე „დასკრის“ გმილევნა უფლება შეუძლებელია. თვით დიდისა და ნიჭიერ შწერდუას-კერძო აქვთ ზოგჯერ და ზოგი ისეთი თხზულება, რომელია უფლება უპრეტენდის არან და როცა მათ კითხელობ, განაცდი მას, რასაც განიცდი მაშინ, როცა უცემერ დრუებულს, რომლის კონტური საშინელის სისწრავით იცვლება და ისიც ხნ აქტების ჰგავს, ხან ხის თავის და ხან უწევის რას. სწორედ ასეთ მოთხოვობების ეპთოვნის „შეგი ბერიც“ წაიგითხავ სამოვნებით, მაგრამ ეოველად შეუძლებელია მაზედ ფიქრი. შინაარსიც და გარებნობაც ასეთ მოთხოვობისა სელიდან გისხლობელია და სულ სხვა რამ ასადს ჰქმის. ეს რადაც სისი ფანტაზია ცხადებისა.

სწორედ ასეთ მოთხოვობან გადმოგეთუბული ჰაე-

სა დასრულად კლ. ალექსი — მესხიშვილმა თავისი საბეჭიფის დღი. მაგრამ ისე შევენიშვილი თავშის იგი, რომ იმულებული გიუვით სიამოგნებით მოგვესმინა იგი — თუმცა პიესა, როგორც დრამატიული ნაწარმოები შეტად სუსტი იყო.



## ინგილოთა ყოფა-ცხოვრება

(ეთნოგრაფიული წერილები)

1.

მრავალ მხრივ საინტერესოა ინგილოთა ყოფა-ცხოვრება, მთელის საუკუნების განმავლობაში ლეკთა და თათართა მტარვალობაში და ძალდატანებით აღმოფხვრამ ყოველივე ეროვნულისა თავისს საწადელს ვერ მიახწია და დღესაც მრავალს ჩვეულებასა და ადათსა ვხედავთ ინგილოთა შორის, რომელთაც ეროვნული ელფერი და ხასიათი არამარტუ არ დაჰკარგვიათ, პირიქით სავსებით შენახულან. მიუხედავათ ასეთის ინტერესისა, საინგილო ანუ ძველი გაღმამხარი მეტად ნაკლებად არის ცნობილი ქართულს მწერლობაში. თვით საქართველოს გეოგრაფიის მამათ-მთავარი ბატონიშვილი ვახუშტიც ძალის მცირეს და ხშირად შემცდარს ცნობებს იძლევა საინგილოს შესახებ. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ დროგამომშვებით მივაწოდოთ ხოლმე მკითხველს ინგილოთა ყოფა-ცხოვრების იმ მხარეების აღწერა, რომლითაც იგი განირჩევა, არამარტუ დანარჩენ საქართველოსაგან, არამედ მეზობელ ერთაგანაც.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით ინგილოური ტიპი არ არსებობს. ინგილო გარეგანი შეხედულობით იგივე ქართლელი ან ქახელი გლეხეცაცია და მხოლოდ ზოგიერთგან შეხედებით, მაგრამ ისიც იშვიათად, ტიპებს, რომელნიც თათრულს — ადერბეიჯანულს მოვარენებთ, რაც არასკორევლია, თათრებთან შერევის ზეგავლენით აიხსნება.

ინგილოები საზოგადოდ ფერმკრთალები არიან, იშვიათად შეხედებით წითურსა და დაქლაუა ლოკებიანებს. მზისაგან სპილენძის ფერად ჩაშავებული ტიპები აქაც, როგორც დანარჩენს საქართველოში, ხშირად გხვდებათ; სახის გამომეტულება უსიცოცხლო აქვთ, მიხერა-მოხერაში სიმკვრცელე, სიჩქარე არ ეტყობათ — იგი დარბაისელი, აუჩქარებელი ქართლელი წარმოგიდგებათ თვალშინ, რომელსაც ჩქარი ლაპარაკიც კი ვერ მოუხერხებათ.

ინგილოს სახის გამომეტულება მუდამ სევ-დიანი და მოქუშული იქვს. რასკორევლია, თუ

მართალია ჯავახიშეილის სიტყვები, „არც ერთს ერს არა აქვს ისეთი სევდანი სახე, როგორც ქართველია“, მაშინ ეს სავსებით ზედგამოქრილი უნდა იყვეს ინგილოზედ. ამისი მიზეზი, რასკორევლია, ინგილოთა წარსულშია, რომელიც მრავალი საუკუნების განმავლობაში მწარე მონბის მძიმე ულეოს განიცდიდა.

ქალებში არა იშვიათად შეხედებით ლამაზებსაც, მოხდენილის, მხოლოდ განიერის პირისახისა და მხარებეჭისას, კუნაპეტივით შვის თვალებითა და გიშრის ფერ ნაწავებით.

ჩატარებული მამაკაცისა ბევრ არაფრით განიჩევა ქართლელ ან ქახელთა ჩატარებისაგან. იგივე ჩიხა, ახალობი და ქალამნები. ეს არის მხოლოდ: კაცებს ზამთარია თუ ზაფხული, რამდენიმე ახალობი აჯავიათ, ორი, სამი და ზოგჯერ მეტიც. ამდენი ტანისამისი აცვია ინგილოს ზაფხულის ცხელს ღლებშიაც და მხოლოდ საკინძები ყველა ახალობებისა მუდამ გახსნილი აქვთ ზამთარ-ზაფხულს და ისე დაიირებიან. თავზედ ყველას განურჩევლად დიდისა და პატარისა უშეელებელი ცხერის თბილი ფაფახები ჰქონდეთ. ზაფხულის ცხელს ღლებშიაც კი არ იშორებს ამ ფაფას ინგილო და, ასე გაშინჯეთ, ღმითაც ხშირად ამ ფაფახები სძინავს, რისგამც თავი მუდამ უსუფთაოდა აქვთ და ამიტომ ქეცი განუყრელი სტუმარია ბავშვებისა მაინც. ზამთრის სიცივებში იცვამენ ცხერის კარგად გამოსულისა და მოთელილის ტყავისაგან შეკერილს ქურქებს. ამ ტყავებში ეწყობა ყველა — ღლილი და პატარა და ხშირად ქალებიც. უზრუნველი მდიდრები ზამთარში იცვამენ ბურქუმა ქურქს — ეს საუკეთესო ცხერის ტყავებისაგან შეკერილი წამოსახამი ქურქია, რუსულ შინელის მინავარი, რომელსაც აქეთ-იქით ჩამოსთხევს ვიწრო და გრძელი სახელოები, შონს გულისთვის მიერებული. ლარიბებს კიდევ ჩვეულებრივის ქურქის მაგიერ აცვიათ ესრედ წოდებული ჩიფუზი; რომელიც მოკლე სახელობიანი და გულზედ გაჭრილი უბეწვა იგივე ნაბაღია, რომლის სიგანეც მუხლებს არ გასცილდება. განუყრელს კუთხნილებას შეადგენს კაცისას ხანჯალი. უხანჯლოდ წარმოუდგენულია ინგილო და ხშირად ისეთს ღლილსა და უხერხულს ხანჯლებს ატარებენ, რომ გაყვირვებულია აღამიანი, როგორ არშიობენ და არ უშლით ამოდენა ხანჯალი მუშაობის დროს მაინც.

ქალთა ჩატარებული მარტივი დიდად განსხვავდება, არამარტუ თუ საქართველოს ხევა კუთხეებთან შედარებით, არამედ საინგილოში მცხოვრებ ხევა ერებისა განაც. აქაური ქალის პირველსავე დანახვაზედ ძალაუნებურად თქვენს უზრადღებას იქცევს განიერი, ფართო შერვალი, რომლის ტოტებიც წინდებში აქვს ჩატარებული და ქაშება და კრელ წინდებში გამოწყობილი ნელიდ დაიირებიან ქუჩებში. ალი-

ბათის ნაწილის ქალებს ეს შარვლები ანუ უკათ რომ ცისქვათ ნიფხვები ძალზედ ვიწროები აცვიათ და შიგნით საპრისული უდევთ. არა იშვიათად შარვლებს ფერადის ათანარიად აჭრელებულის ჩითისას იცვამენ, რაც მეტად უსამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს აღამიაზედ. ჩვეულებრივი კაბის ჩაცმა საინგილოში მიღებული არ არის, მის მაგივრობასა სწერს ლაბატა. ლაბატა იგივე ახალუხია, ისეთივე როგორიც კაცებს აცვიათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უფრო გრძელია, უკან ძალზედ ბევრი ნაოჭები აქვს და სამორთხი ჭრივის სიგრძე სახელოები. სახელობის მაგივრობასა სწერს პერანგი, რომელიც მარტოლ-მარტო ჰქონავს მკლავებს. გარდა მისა ლაბატას არა აქვს საყელო, წინ გული ღია, პერანგისაც ამარად და მხოლოდ წელთან იყვრის ორთავ ტოტი ლაბატასი ღუგმებით ან ბაწილით. ლაბატას წინ ჩამოფარებული აქვს მაიზორა ანუ გულ-საფარი. მაიზორა მთლიანადა ჰქონავს გულმკერდს და ჩაგძლებული არის მუხლებამდის ისე, რომ ლაბატებ უფრო გრძელია. მაიზარაზედ გულთან პერანგისათ ხოლმე გასაღებები სახლისა, სკივრისა, ხელში სახმარი მისავეცი დანა და სხვა. ქალების გიშრის ფერი თმა რას უმთავრესს ნაწნავებათ, ანუ როგორც ინგილოები ეძახიან, წიწილებად იყოფე, ბიან, რომელნიც კიდევ თრატელად ნაწილდებიან. თავზედ მოხვეული აქვთ თხელი რამ, რომელიც დოლბანდს მიაყვას და რომელსაც აქ ჩიქილის ეძახიან. ფეხისაცმელად ინგილო ქალები ქოშებს ხმარობენ, მაგრამ რამდენადაც ალაზანს უახლოვდებით, აქ ქალები სულ მუდამ ზამთარზაფხულ ფეხშიშველები დადიან.

ეს არის მუდმივი, ყოველდღიური შინაური ტანისამოსი ინგილო ქალისა, მაგრამ დღეობაში და წვეულებაში სულ სხვანარიად ერთობა და ათას ნაირის სინაულით იმსხება, რომელთაც საერთო სახელს იმჩათ ეძახიან. იმჩათი ვერცხლის მორთულობაა და გულ-მკერდისა და თავის დასამშვერებლადა ხმარობენ. ეს მორთულობანია, უპირველეს ყოვლისა—გისტორი, რომელიც თავზედ დასახურს რამდენიმე რიგ ძელვისაგან შესდგება და წინ შებლთან რამდენიმე პირად ჩამორიგებული აქვს ვერცხლის უინჯლილები და ვერცხლისავე თრატელიანები. ილგაზი, რომელიც წარმოადგენს გულზედ ჩამოსაკიდს ერთმანეთზედ გადაბმულს ვერცხლის ფულებს, რომელთა რიცხვიც ზოგჯერ სამოცამდის ადის ხოლმე და მთელს გულ-მკერდსა ჰქონავს სიგრძე-სიგანეზედ. ილგაზისათვის ხმარობენ აბაზიანსა და ხუთშაურიანს ვერცხლის ფულებს, რომელთ შორისაც უშირად შეხვდებით ძველს ქართულს ორ აბაზიანსაც. გარდა მისა სადღესასწაულო მაიზარს, რომელიც ფარისა ან ხვერდოსა კერდებისა კერდების გარებაზე არ არის, მის მაგივრობასა სწერს ლაბატა.

ქვედა პირზედაც კიდევ რამდენიმე რიგად პატარა ვერცხლის უინჯლილები აქვს ჩამწერივებული. ასევე მორთული სადღესასწაულო პერანგიც, რომელსაც წინ ყოშები აქვს მიკერებული, ხელის ზედა პირსა ჰქონავს და უინჯლილები აქვს შემოვლებული გარუები. იმარათობის კუთვნილებას შეადგენს ვერცხლის ბრტყელი ქამარიც, რომელზედაც გამაგრებული არის ვერცხლის აბაზიანები და ხუთშაურიანები. ეს ქამრები მეტად მმიერები არიან და ერთის შეხედვით მოგვაგონებენ ქალაქელ წვრილ გაქრების ქამრებს. ასეთს სამკაულში გამოწყობილს ქალს სიარულში და ყოველივე განძრევაზედ ნელი ულარუნი გაუდის.

ასეთია საზოგადოდ ინგილო ქალის სადღესასწაულო სამკაული. მაგრამ ყველგან საინგილოში მეტ-ნაკლებობით ასეთს ტანისამოსს კი არ ატარებენ. ალიაბათის ნაწილში მაგალითად, ყველა ამ ტანისამოსის ზევიდან იცვამს კიდევ ქათიბს ანუ ქულაჯას. ზედაპირი ქათიბისა აბრეშუმისა ან ხავერდისაა და ირგვლივ კალთაზედ, სახელოებზედ და საყელოზედ შემოვლებული აქვთ გოჯ-ნახევრის სიგანე შავი ბატენის ან მელა-ტურის ტყავი. ალიაბათისავე ნაწილში მხოლოდ ზოგიერთს სოფლებში ხმარობენ ლექლარს, რომელიც იგივე ახალოხია, რომლის ღია გრძელი სახელოები უკანა აქვთ გადაგდებული და კალთებიც ირიბათ უკან შეკეცილი. გარდა ამისა ვისტორის მაგივრად ზოგიერთს სოფლებში ხმარობენ შებლ-საკრავს, რომელიც ჩიხტს მოგაგონებთ და აბრეშუმის ძვრების ხელსახლც რამდენიმედ შეკეცილს წარმოადგენს. სოფელ კაუში კიდევ სრულიად არ იციან ვერცხლის ქამრების ხმარება. და ბოლოს არ შეიძლება არ ალვინიშნოთ ის გარემოებაც, რომ მთელს საინგილოში არ იციან უმარილისა ან სხვა მისგარ სახეზედ წასასმელ წამლების ხმარება.

ინგილო ქალის ყოველ-დღიურს ანუ შინაურს ტანისამოსს დამოკიდებულობა აქვს მის შრომის მოყვარეობასთან. ინგილოები საზოგადოდ მეტად შრომის მოყვარენი არიან, განსაკუთრებით ქალები. რასაკირველია, ინგილო ქალის აკარწახებული ტანისამოსი და მაიზერა უფრო გამოსაღებია მუშაობისათვის, ვიღრე გძელი ფეხებში მოფრატუნე კაბა. ინგილო ქალს შრომაში ბადალი არა ჰყავს, იმას ვერას ღრის ვერ დაინახვთ, რომ ჩამომჯდარიყვეს საღმე საჭოროდ და მითქმა-მოთქმაში დაეღამებიოს. იმას ამისათვის არა სკალიან, მუდამ ჩაუფერხებლივ მუშაობს და ხელსაქმობს. ზამთარია და სახლისა და უჯახის ჩვეულებრივ მოვლის გარდა, ის მატყლსა სჩეჩის, ართავს და სმახვეს საჩოხე შალისა და ჯეჯიმებ-ფარდაგებისათვის. გარდა ამისა ჰქონდება კრა-ჰერვას და ხშირად 10—11 საათამდის ზის ბუხრის წინ და საქმობს. გაზაფხულდება კიდევ და შრომა-ჯაფა ერთი-ორად უფრო გმატება, ზამთარში დართულ მატყლისაგან ეხლა

ქსოვს საჩიხებს, ჯეჯიმებსა და სხვებს, მოჰყავს და უელის აბრეშუმის ჭიას, რაც განსაკუთრებით ქალების საქმეთ ითვლება, უელის, ჩრყავს და მარგლის ბისტანს და სტეა და სხვა. ერთის სიტყვით ზამთარ-ზეთხულ გაუთავებელს შრომში არის ჩაბმული და ზოგჯერ იძღვნი მოცულაც. არა აქვს, რომ ეკლესიში წავიდეს და პირველი გადიშერს. არა ნაკალებ მშრომელია და გამრჩევ მასაციც. შოტელს საინგილოში მცხოვრებ ლექებსა და თაორებში ინგილო თითოთ საჩერენეალია. ვერც ლეკი, ვერც თათარი შრომში ვერ შეეღრძება. ინგილო არამაც თუ მარტო იმ მამულის მოვლას აწრობს, რომელიც მის საკუთრებას შეადგენს, არამედ სხვა-განაც იღებს მამულს სამუშაოდ, მიღის შორს ში-რაქსა და აღიაზლოს მინდურებში და იქაცა ნეაცა და სხესაცს. ჩერილო ხერა-თესვასაც ასწრობს, აჩრ შუმის მოყვანასაც და ბალ-ცენასაც თავისუფლად უძლევება, იმ დროს როცა თათარსა და ლეკს იმდე-ნი პურიც კი ვერ შოუყვანია, რომ სარჩო წლის ბოლომდე ს გაძვეთ. როცა ინგილო ჩაუტერხებლივ შეუშაობს და ცეცხლის პურის ჭამაშია, ლეკი და თა-თარი ჩშირად ქრებში და ქურქში გამოწყობილი საღმე საჩაიეში ზის და ნებირად შეექცევა ჩაის, ან არა და ქუჩა-ქუჩა ბოლოთასა სცემს და მასლა-თობს. ამის გამო თათრებს ანდაზად გამოუთქვამთ, ინგილო რომ არ იყოს, ჩერ მშივრები დაცხისოცე-ბითო, ის არის ჩერი პურის ვარცლი და კიდობა-ნიო. მართლაც, იმ დროს როცა თათარს ამ ლეკს ერთი დაყრა ხორბალიც არ მოექმნება, ინგილოს ხშირად მოქარებული აქვს და გასასყიდათ გამო-აქვს. ამიტომ თათარი იძულებულია ინგილოს სხხო-ვოს ხორბალი სესხად ან არა და მთავრობას გაუ-წოდოს ხელი, შენი ჭირიმე შიმშილით ვიღუპებით და არა უნდა გვიშველოთ.

საზოგადო ინგილოები, როგორც მშრომელი ხალხი, უფრო შეძლებულია ვიდრე თათრები ან ქა-დევ მისი მებატონე ლეკები, მათში ბევრნი არიან ისეთი გაეთხებული ოჯახები, რომ კარგ მოსახლე თავად-აზნაურს არ ჩამოუვარდებიან. მიუხედავად ამისა ინგილო შეძლებულია თუ ღრაბი ისეთი აბ-რანძული დაიარება და საცოდავათ ჩამოსტირის ათასნაირად დაჯდანებული ტანისამოსი, რომ კაცს შეებრალება. მათში არ არის განვითარებული სურ-ვილი კარგა ჩატა-დახურვისა, ამ მხრივ ინგილოები ჩამოუვარდებიან თავისს მეზობელ ლეკებს შეტადრე ჭარელებსა და ბელაქნელებს, რომელნიც ისე კარ-გათა და სუვთად იცამ-იხურავენ, რომ ძალაუნე-ბურად გაგონდებათ ქუთაისის გუბერნიის ქართვე-ლობა.

გართობა, დროს გატარება საზოგადოთ ინ-გილოებს არ უყვართ. დღეობა თუ ქორწილი, ერ-თაღ-ერთი მათი გასართობი ზურნაა, მაგრამ აქაუ-რი ზურნა რაღაც არა ჩვეულებრივია, ისეთი შესა-

ზარავი ხმა აქვს და ზართა-ზემი გაუდის, რომ კაცს მთლად აყრუებს. უპირველეს ყოვლისა უნდა შევ-ნიშნოთ, რომ ერთი დაფის მაგივრათ, როგორც ჩვეულებრივ არის მიღებული, აქ ორი დაფი არის ხმარებაში, ერთი პატარა, მეორე კი უშველებელი, რომელიც სქელი, უმზგავსი ტყავი აქვს გადაკრუ-ლი და შემზარავი ხმა. მედაუე ერთგვარიად უშინოდ უპირველებებს ამ დაფს და მოულს პარმონის დაფა-ზურნისას არღვევს. აი ეს არის უმთავრესი გასარ-თობი ინგილოებისა. ამ ზურნაზედა აქვთ მოწყობი-ლი ცეკვაც, რომელიც ჩვეულებრივ ლეკურს წარ-მოადგენს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქალი კაცს არ გაეთამაშება, ცალ-ცალკე ცეკვამენ კაცები და ქალები. აი გაიხადა ინგილო ქალმა და წინდე-ბის ამარა დინჯად, აუქარებლივ ჩამოუარა ლეკუ-რი, ნელად მხოდენით კლაკანას ხელებს, მეორე მხრიდანაც გამოვიდა პატარა ცერიალა გოგონა და მოხდენილად გამოიერთში პირველს. მაყურებლები ტაშს უკრავენ, ზურნის ხმა ხალხს აყრუებს. კარგს მოთამაშეს ხალხი ლურადლების ნიშად ზუთმანე-თიანებს, თუმნიანებს და ლუდაცხოთმანეთიანს ქალლ-დის ფულებს აძლევენ. მოთამაშეთაც თავი მაკეთ ამითი, დაიკერენ ამ ფულებს აქეთ-იქით ხელებში და აფრიალებენ. მაგრამ არ გეკონოთ, რომ ეს ფულე-ბი აჩუქეს მოთამაშებს, არა, იმათ მხოლოდ შეს მისაცემადა და გასამხნევებლად მისცეს ქალალდის ფულები და გათავების შემდეგ მოვალენი არიან ისევ დაუბრუნონ პატრონებს.

#### 4. ედილი.

(გაგრძელება იქნება)



## ე თ ა

ინტელიგენციის სამსჯავროს ფინავ.

რა არის თემი?

თემი არის მონათესავე ლჯახთა ჯვეუფი აშავე დროს თემი არის იურიდიული დაწესებულება, ის გვარი ორგანო, რომელმაც მიისაუთორა სამი ფუნქ-ცია: კანონმდებლობა თემის მართვა-გამგეობაში, მოსამართლეობა თემის საქმეში და აღმასრულებ-ლობა თავისივე გადაწყვეტილებისა. თემი, როგორც ჯგუფი, დამცველია და შემნახველი ნათესაობითი იდეისა; ამის გამო მამა-კაცს და დედა-კაცს ერთ-ნაირად უყურებს; მის შედგენაში ორივეს თანა-წორი მნიშვნელობა აქვს: დედა-კაცი და მამა-კაცი

წევრებია თემობითი კავშირისა. თემი, როგორც იურიდიული დაწესებულება, შესდეგბოდ მხოლოდ მამა-კაცებისაგან იმ ჰასაკიდან, როდესაც ქუდისან შეეძლო იარაღი იქსა და ბრძოლის ველზე გამოსულიყო. მაშასადამე, თემის ყრილობაში ანუ თემის ცხოვრების მართვა-გამგებაში მონაწილეობას იღებდა უკველი მამა-კაცი. ამ თვალსაზრისით რომ ავწონოთ თემი, დავინახავთ, რომ თემი იყო დემოქრატიული დაწესებულება. თემის მოქმედება მყარდებოდა მთლიანობასა და ერთობაზე; თემის მიზანი იყო—მთლიანობის დაურღვევლობა და მმობა. ასე რომ თემის მოქმედების საფუძველი და მზანი ერთი და იგივე იყო: მთლიანობა და ერთობა. ამ მიზნის მისაღწევად თემი ხმარობდა ყოველ-გვარ საშუალებას; იგი მოქმედებდა მკატრად, შეუდრეველად; ამ შემთხვევაში მას შეპრალება არა ჰქონდა, ჰქონდანიური მიმართულება არა სწამდა; თემის წესწყობილების დამტლვევ წევრს სამარტვინო ბოძს აკრავდა: წევრები თემს ან დროებით, ან სამუდამოდ: თუ საკიროება მოითხოვდა, ჰქონდა და ჰქოლავდა კიდევ. რასაკირველია, უფრო მსუბუქ სასჯელებსაც ხმარობდნენ დანაშაულობის მიხედვით. პირიქით შემთხვევაში, თემი მედგრად იყავდა თავის წევრს შინ და გარედ. თემი ერეოდა იჯახის შინაურ საქმებში; თემი იჩემებდა იჯახისა და მის წევრების პატრონობას; თუ საკიროება მოითხოვდა, თემი არიგებდა ერთმანეთში იჯახის წევრებს; მორიგების საშუალებას რომ ვერ გაეჭრა, მაშინ ამა თუ იმ წევრს სხვა გზას აძლევდა. ორ მომტერე გვარეულობის შუა იდგა ხოლო თემი. აქაც უთემოდ მორიგებას ვერ ახერხებდნენ. ერთი სიტყვით, თემობა თვალყურს ადევნებდა ყველაფერს: იჯახში არავინ დაჩაგრულიყო, გვარი გვარს არ დაებრიყვებინა, გვარი გვარს არ ამოწყვიტა... მტერს ხომ ეპრობა და ებრძობა თავის წევრის ინტერესების დასაცელად. მტრისაგან დაზიანებულ წევრს თემი შეელოდა საკიროების მიხედვით: თუ ზარალი იყო ქონებრივი, თემი ან თავისით შეუსებდა დანაკლისს, ან მტერზე დაცემით იშოვიდა დავლის და აქედან მისცემდა წილს დაზარალებულს. ტყვეობიდნ თავის მოძმეს—თუ იჯახი ვერ შესძლებდა,—ისხნიდა თემი: უფრო წინ ეს ხომ განსაკუთრებით თემის კისერს აწვა. ნიაღვრისაგან, ცეცხლისაგან და ბევრი სხვა მიზეზისა გამო დაცუმულ მოთემეს თემი აყნებდა ფეხზე. მტრის ხელით მოკლულ მოძმის წინაშე დიდი იყო თემის ვალი: მთელი თემი თავის წმიდა მოვალეობად სთვლიდა სისხლის აღებასა და სხვა. ამ როგორც თვით თემი, როგორც იურიდიული დაწესებულება და როგორც მონათხესავე იჯახთა ჯგუფი, შეიცავდა თავის შინაარსში ორ მოპირდაპირე მიმართულებას: ერთ მხრივ, თემი

შეადგენდა ცხოვრების განვითარების და წინმსვლელობის პირობებს; მეორე მხრივ, სულს უხუთავდა იმავ ცხოვრებას, ვინაიდგან ახალი პირობების შემოღება ცხოვრებაში მეტად ძნელი საქმე იყო თემობის დროს. თემობის ცნების შინაარსის ორქოფიბამ თემი დარღვევის და დაშლის გზაზე დააყენა. თემი დაირღვა კიდევ. თემის დარღვევაში დიდი ადგილი უჭირავს ოჯახს. თემობის შინაარსის ეს მოყლე განმარტებაც კმარა ჩემი მიზნისათვეს.

რა არის იჯახი?

იჯახი არის მამა-კაცისა და დედა-კაცის კავშირი შეილებითურთ. მთიელის იჯახი პატრიარქულია, ე. ი. მამა-კაცი უფროსობს. და განაგებს იჯახს. პატრიარქული იჯახი აგებულია თვითმპყრობელობის პრინციპზე. იჯახი უფრო მარტივი სოციალური მოვლენაა, ვიდრე თემი, იჯახი თემის ერთგულია. რადგან უმთავრესი ფაქტორი მთიელთა ცხოვრებაში იყო თემი და იჯახი და რადგან მემინდოდა, უფრო წინ თემი და იჯახის შეუადგინებელი მინდოდა, ამის გამო ზემოდ გამოვუშვი ერთი ფაქტორიც, რომელიც იდგა თემსა და იჯახს შეუადგინებელი—გვარია. ამიტომ სიმართლე მოითხოვს, რომ გვარზედაც ითქვას რამდენიმე სიტყვა. გვარი უფრო ახლო მონათხესავე იჯახთა ჯგუფია. ასე რომ თემი პირდაპირ იჯახებიდან-კი არ შესდგებოდა, არამედ გვარეულობიდან. გვარი ეს როტული იჯახია და პატარა თემი. ხშირად იჯახის საქმეებს (ატეხილ დავის და სხვას) არიგებდა თავისივე გვარი. გვარი მოსარჩელედ გამოდიოდა თავის იჯახისა არა თუ მარტო სხვა გვართან დავის დროს, არამედ წინააღმდეგობას უწევდა თემსაც-კი, როდესაც ამას მოითხოვდა მთელი გვარის, ან მის ერთ-ერთი იჯახის ინტერესი.

ამ რიგად იჯახი მთელის თავის ცხოვრებით იმყოფებოდა თემისა და გვარეულობის გავლენის ქვეშ: იჯახსაც, რასაკირველია, თავისი ფიზიონომია შეჰქონდა მთიელთა ცხოვრებაში, თავისად მოქმედებდა მთიელზე. აშერაა, თემის გავლენა იჯახზე უფრო ხანგრძლივი და მძლავრი იყო, ვიდრე გვარისა. ასე რომ იმ დროის თემის მოქმედების დაღი დღესაც აშერად ეტყობა იჯახის, რომელსაც მაშინ ვერც-კი წარმოედგინა უთემოდ ცხოვრება. მიუხედავად ამ გვარი მდგომარეობისა, მიუხედავად იმისა, რომ იჯახი თითქმის სრული მორჩილი იყო თემისა, მათ შორის—როგორც ზემოდც ითქვა—არსებობდა ხან უჩინარი, ხან ცხადი ბრძოლა.

ალბანელი.

(შემდეგ იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.